

# შპს „ხელეღულა ენერჯი“

საქართველო – ხელეღულა-3  
ჰიდროელექტროსადგურის პროექტი

არატექნიკური რეზიუმე



2018 წლის სექტემბერი

## პროექტის დასაბუთება

ხელედულა ჰესის მშენებლობა საქართველოს უფრო დიდი გეგმის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში ელექტროენერჯის გენერაციის სიმძლავრის გაზრდასა და, ამასთანავე: (i) წიაღისეულ საწვავზე მომუშავე ელექტროსადგურებსა და (ii) მეზობელი ქვეყნებიდან (ძირითადად რუსეთიდან, თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან) იმპორტირებულ ენერჯიაზე დამოკიდებულების შემცირებას.

საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემას ზაფხულში დაბალი მოხმარება და მაღალი გამომუშავება, ხოლო ზამთარში მაღალი მოხმარება და მცირე გამომუშავება ახასიათებს. ზამთარში, როცა ჰიდროელექტროსადგურებს ნაკლები წყალი მიეწოდება, თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია მთლიანი გენერაციის 28%-ს შეადგენს, თუმცა ზაფხულში ეს მაჩვენებელი 1%-ზე ნაკლებია. ზამთარში მაღალი მოხმარების დაკმაყოფილების მიზნით საქართველოს ელექტროენერჯია მეზობელი ქვეყნებიდან შემოაქვს.

პროექტი ითვალისწინებს მოდინების ტიპის ჰესის მშენებლობას, რომელიც იმუშავებს მდ. ხელედულასა და მდ. დევაშის ბუნებრივ ჩამონადენზე. მდ. ხელედულაზე მოეწყობა დამბა, საიდანაც, უდაწნეო გვირაბის მეშვეობით, წყალი გადასროლილი იქნება მიმდებარე დევაშის ხეობაში. ამას გარდა, მოეწყობა მეორე დამბა, მდ. დევაშიდან წყალაღების მიზნით. ამის შემდეგ წყალი გაივლის სადაწნეო მილსადენს და მიეწოდება მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე მოწყობილ საგენერატორო შენობას.

ჰესის საშუალო წლიური გამომუშავება იქნება 237 გვტსთ. ექსპლუატაციის პირველი 20 (ოცი) წლის განმავლობაში, ყოველი წლის ზამთრის პერიოდში (რომელიც მოიცავს იანვარს, თებერვალს, მარტს, ოქტომბერს, ნოემბერსა და დეკემბერს) ესკო-სთვის მიყიდული უნდა იქნას ობიექტის ფაქტიური წლიური გამომუშავების 20%.

## პროექტის ალტერნატივები

**ენერჯის ალტერნატიული წყარო:** პროექტის მეშვეობით ზამთარში შესაძლებელია ენერჯის უწყვეტად გამომუშავება, რაც საქართველოს პირობებში მხოლოდ სხვა ჰიდროელექტროსადგურებით ან თბოელექტროსადგურებითაა შესაძლებელი. შესაბამისად, პროექტის განუხორციელებლობის ალტერნატივის შემთხვევაში ელექტროენერჯიაზე ქვეყნის მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის საჭირო იქნება სხვა ჰესის მშენებლობა, ან თბოელექტროენერჯის გამომუშავების გაზრდა. საუკეთესო შემთხვევაში სხვა ჰესებისათვის (რომლებიც საქართველოში ბევრგან შეიძლება მოეწყოს) შესაძლებელი იქნებოდა ხელედულა-3-ის მსგავსი გარემოსდაცვითი და სოციალური მაჩვენებლების მიღწევა, სადაც ადგილი არ იქნება კრიტიკული ჰაბიტატებზე მავნე ზემოქმედებას და განსახლებას. კლიმატის სწრაფი ცვლილებების არსებულ კონტექსტში, თბოენერგეტიკული ალტერნატივები მდგრად ვარიანტად არ განიხილება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელედულა-3 გონივრული ალტერნატივაა.

**ალტერნატიული საინჟინრო გადაწყვეტილებები:** პროექტის საინჟინრო გადაწყვეტილებები იმგვარად იქნა ოპტიმიზირებული, რომ მინიმუმამდე შემცირებულიყო ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედება. კერძოდ, ჰესს არ ექნება დიდი წყალსაცავი, რომელიც ნატანს შეაკავებდა და დიდი ტერიტორიას დაიკავებდა. გამონამუშევარი ქანების მოცულობის შემცირების მიზნით მინიმუმამდე შემცირდა გვირაბების სიგრძე, ხოლო დროებითი ტერიტორიები და სანაყაროების უბნები შერჩეული იქნა ბუნებრივი და სოციალური გარემოს სენსიტიური რეცეპტორების გათვალისწინებით.

## პროექტის აღწერა

ხელედულა-3 ჰიდროელექტროსადგურის პროექტი (შემდგომში „ხელედულა-3“ ან „პროექტი“) წარმოადგენს 51 მგვტ სიმძლავრის ჰიდროენერგეტიკულ პროექტს, რომელსაც ახორციელებს შპს „ხელედულა ენერჯი“ („KE“) - ხელედულა-3 ჰესის პროექტის შემუშავების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის მიზნით საქართველოში დაარსებული კომპანია. პროექტი განლაგებულია საქართველოს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, კერძოდ კი ლენტეხის მუნიციპალიტეტში.

**ნახაზი 1 - ხელედულა-3 ჰესის ადგილმდებარეობა**



ხელედულა-3 წარმოადგენს მოდინების ტიპის ჰესს, რომელიც მოეწყობა მდინარე ცხენისწყლის ორ შენაკადზე: ხელედულასა და დევაშზე. პირველი დამბა („დამბა-1“) აშენდება მდ. ხელედულაზე. იგი განთავსდება სოფ. ხელედის მახლობლად, დაბა ლენტეხთან მდებარე მდ. ცხენისწყალთან შესართავიდან დაახლოებით 6 კმ-ით ზემოთ.

დამბა-1-დან მდ. ხელედულას წყლის ნაწილი, უდაწნეო გვირაბის მეშვეობით, გადადებული იქნება მდ. დევაშის ხეობაში (იხ. ნახაზი 2), სადაც იგი შეუერთდება მდინარე დევაშზე, მდ. ცხენისწყალთან შეერთების ადგილიდან 2.5 კმ-ით ზემოთ მოწყობილ მეორე დამბის („დამბა-2“) მეშვეობით ალებულ წყალს. წყლის ჯამური ნაკადი

მიწისქვეშა სადაწნეო მილის მეშვეობით მიეწოდება საგენერატორო შენობას, რომელიც განლაგდება მდ. ცხენისწყალის მარჯვენა ნაპირზე, დაბა ლენტეხიდან დაახლოებით 1.5 კმ-ით ქვემოთ. საგენერატორო შენობა მოეწყობა ცაგერი-ლენტეხის გზის გვერდით.

პროექტით გათვალისწინებულ მუდმივ ობიექტებს აგრეთვე მიეკუთვნება დამბა-1-სა და დამბა-2-თან მისასვლელი გზები და პროექტის მესაკუთრის შენობა (რომელიც გამოყენებული იქნება ექსპლუატაციისთვის). ჰესი ქვეყნის ელექტროსისტემას მიუერთდება ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით, რომელსაც დააპროექტებს, ააშენებს და ექსპლუატაციას გაუწევს სახელმწიფო ელექტროქსელის ოპერატორი - „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე). ამ ხაზის მშენებლობა მოხდება მასშტაბური პროგრამის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერებას. გადამცემი ხაზის მეშვეობით პროექტის მიერ გამოიმუშავებულ ენერჯია ჯერ ცაგერს, ხოლო შემდეგ ლაჯანურის ქვესადგურს მიეწოდება.

პროექტის დროებითი შენობა-ნაგებობები მოიცავს: სანაყაროებს, სასაწყობო უბნებს და ბანაკებს (იხ. ნახაზი 2). სამშენებლო მასალებისათვის პროექტი გამოიყენებს არსებულ კარიერებს (ახალი კარიერები არ მოეწყობა).

ხელედულა-3 ჰესის საანგარიშო საშუალო წლიური გამომუშავება შეადგენს 237 გვტს-ს. პროექტის მეშვეობით შესაძლებელი გახდება, რომ საქართველოში ენერჯიის გამომუშავების პროცესში წლიურად თავიდან იქნას აცილებული დაახლოებით 79 000 ტ CO<sub>2</sub>ექვ. სათბურის აირების გაფრქვევა.

პროექტის დაფინანსების საკითხს განიხილავს რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი (EBRD): EBRD-ის გარემოსა და სოციალური დაცვის 2014 წლის პოლიტიკის მიხედვით, პროექტი მიეკუთვნება A კატეგორიას.

პროექტი დაექვემდებარა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზმ), რომელიც სანებართვო ორგანომ 2017 წელს დაამტკიცა. აღიშნული დოკუმენტის საფუძველზე 2018 წელს განხორციელდა დამატებითი გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება, რათა, ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვასთან ერთად, პროექტის ყველა კომპონენტი შეფასებული ყოფილიყო EBRD-ს გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო სტანდარტების მიხედვით. 2018 წელს პროექტის განმახორციელებელმა სანებართვო ორგანოში წარადგინა ინფორმაცია საინჟინრო პროექტში შეტანილი ცვლილებების შესახებ (კერძოდ, პროექტის ოპტიმიზაციის მიზნით, მდ. დევაშის ხეობაში სადაწნეო გვირაბის ნაცვლად მიწისქვეშა სადაწნეო მილსადენის მოწყობა გადაწყდა). სანებართვო ორგანოს მოთხოვნით, ამ ცვლილებისათვის მომზადდა დამატებითი გზმ-ის ანგარიში.

დამტკიცებული გზმ-ის ანგარიში, დამატებითი გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიში, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (SEP), წინამდებარე არატექნიკური რეზიუმე (NTS), ასევე გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმა (ESAP) ქმნის საჯარო დოკუმენტაციის პაკეტს, რომელიც, EBRD-ს საჯარო ინფორმაციის პოლიტიკის შესაბამისად, უნდა გასაჯაროვდეს ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ პროექტის დაფინანსების საკითხის განხილვამდე სულ მცირე 60 დღით ადრე.

**ნახაზი 2 - პროექტის კომპონენტები**



## ფიზიკური ზემოქმედების სახეები

**ფიზიკური გარემო:** პროექტი განლაგებულია მთიან რეგიონში (750-4000მზდ), სადაც ფერდობები ძირითადად ციცაბოა. კერძოდ, პროექტი განხორციელდება ლენტეხის მუნიციპალიტეტში, რომლის ტერიტორიის 64% ტყეებითაა დაფარული. მდინარეები ძირითადად საზრდოობს თოვლის ნადნობით (გაზაფხულიდან შემოდგომამდე) და წვიმის წყლით (შემოდგომით).

**პროექტის ინფრასტრუქტურით დაკავებული ტერიტორია:** პროექტის ინფრასტრუქტურა, მათ შორის მუდმივი შენობა-ნაგებობები და მისასვლელი გზები საერთო ჯამში დაიკავებს დაახლ. 10 ჰა ფართობს. ამას გარდა, პროექტისათვის დროებით საჭირო იქნება 8 ჰა ტერიტორია (მშენებლობის დასრულების შემდეგ მოხდება დროებითი უბნების რეკულტივაცია).

**ხმაური და ვიბრაცია:** ხმაურსა და ვიბრაციას ძირითადად მძიმე ტექნიკის მოძრაობა გამოიწვევს. სამშენებლო ტექნიკა და მანქანები შემოწმდება ყოველდღიურად, სამუშაოების დაწყებამდე. სამუშაო უბნებზე დაშვებული არ იქნება ისეთი მანქანები და აღჭურვილობა, რომელთა ხმაურის დონეც მომატებულია (ტექნიკური გაუმართაობის გამო). ხმაურიანი საქმიანობა (როგორცაა მიწის სამუშაოები) განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში.

**მტვერი და ჰაერის ხარისხი:** მტვერის წარმოქმნა და ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება შესაძლებელია მხოლოდ მშენებლობის პერიოდში. ასეთი ზემოქმედების ძირითადი წყაროები იქნება გრუნტის გზებზე ტრანსპორტის მოძრაობის გაზრდა და მიწის სამუშაოები. დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებები მოიცავს: მასალების ტრანსპორტირების დროს სატვირთო მანქანების ბრეზენტით გადახურვას, მანქანების მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვას და გრუნტის გზების მორწყვას.

**ნიადაგის ნაყოფიერი ფენა:** მშენებლობის დროს, სათანადო შემთხვევებში ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოიჭრება და შეინახება. ნიადაგი გამოყენებული იქნება მშენებლობის ბოლოს დროებითი უბნების რეკულტივაციისათვის.

**ჩამონადენის რეჟიმი:** ხელედულა-3 მოდინების ტიპის ჰესია, რომელსაც ექნება სადერივაციო სისტემა, თუმცა არ ქნება წყალსაცავი და წყლის დარეგულირების შესაძლებლობა. ჰესი მდინარის რეჟიმზე ზემოქმედებას იქონიებს მხოლოდ ზედა დინებაში განლაგებულ წყალაღების ადგილებსა (დამბა-1 მდ. ხელედულაზე და დამბა-2 მდ. დევაშზე) და ქვედა დინებაში მოწყობილ საგენერატორო შენობას შორის მონაკვეთზე. კერძოდ, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მდინარეთა მონაკვეთების წლიური ჩამონადენის რეჟიმის ცვლილებას გამოიწვევს: (i) წყლის (26 მ<sup>3</sup>/წმ) გადაგდება სადერივაციო სისტემის მეშვეობით; და (ii) ეკოლოგიური ხარჯის უზრუნველყოფა, რომელიც მდ. ხელედულას შემთხვევაში 1.474 მ<sup>3</sup>/წმ-ზე, ხოლო მდ. დევაშის შემთხვევაში 0.318 მ<sup>3</sup>/წმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

**ნატანის რეჟიმი:** პროექტი არ ითვალისწინებს დიდი წყალსაცავის მოწყობას და, შესაბამისად, ნატანის შეკავებას ადგილი არ ექნება. ამავე მიზეზით ჰესი ვერ შესძლებს დიდი წყალდიდობების შეკავებას და ასეთი წყალდიდობების დროს ჩამოტანილი მასალა

მდინარეში მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე გადაადგილდება. საერთო ჯამში, ნატანის რეჟიმზე ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება.

**წყლის ხარისხი:** განხორციელებული იქნა წყლის ხარისხის შეფასება, რომლის მიხედვითაც პროექტის ტერიტორიაზე წყლის ფიზიკური და ქიმიური მახასიათებლები კარგია. პროექტი წყლის ხარისხზე შესამჩნევ ზემოქმედებას ვერ იქონიებს.

## ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე

პროექტი არ ეხება უკვე დაარსებულ დაცულ ტერიტორიებს, გეგმარებით დაცულ ტერიტორიებს, ან საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ადგილებს. უახლოესი საკონსერვაციო მნიშვნელობის მქონე ტერიტორიაა ბიომრავალფეროვნებისთვის საკვანძო ტერიტორია/ მნიშვნელოვანი ორნითოლოგიური ტერიტორია „სვანეთი“, რომელიც პროექტიდან 6.5 კმ-ითაა დაცილებული. კანდიდატი ზურმუხტის უბნებიდან უახლოესია „სვანეთი 2“, რომელიც მდებარეობს პროექტიდან 7.5 კმ-ის დაცილებით, იმ ქედის მეორე მხარეს, რომელიც მდ. ხელედულას აუზს ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრავს.

**ფონური მონაცემები:** პროექტის ტერიტორიაზე არსებული საკონსერვაციო მნიშვნელობის სახეობების გამოვლენის მიზნით ზამთარში, გაზაფხულზე და ზაფხულში განხორციელებული იქნა სავალე კვლევები; ამას გარდა, შესწავლილი იქნა არსებული ლიტერატურა და საკონსერვაციო სახეობების მონაცემთა ბაზები. შედეგად, პროექტის ტერიტორიაზე გამოვლენილი იქნა საკონსერვაციო ღირებულების რამდენიმე სახეობა, რომლებიც, EBRD-ს გარემოსა და სოციალური დაცვის პოლიტიკის მიხედვით, აკმაყოფილებს „ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტული კომპონენტების“ კრიტერიუმებს, ან საჭიროებს „ჰაბიტატების კრიტიკულობის შეფასებას“.

მათ შორისაა საქართველოს წითელ ნუსხის მოწყვლადი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი და გადაშენების უკიდურესი საფრთხის მყოფი სახეობები, კერძოდ კი: მურა დათვი (*Ursus arctos*, EN), არჩვი (*Rupicapra rupicapra*, EN), კალმახი (*Salmo trutta*, VU), კავკასიური სალამანდრა (*Mertensiella caucasica*, VU), დინიკის გველგესლა (*Vipera dinniki*, VU), კავკასიური ციყვი (*Sciurus anomalus*, VU), წაბლი (*Castanea sativa*, VU) და კაკალი (*Juglans regia*, VU).

აღრიცხული სახეობებიდან ზოგიერთს IUCN-ის მიერ მინიჭებული აქვს სტატუსი „მოწყვლადი“. ესენია: კოლხური წვერა (*Barbus tauricus*), კავკასიური სალამანდრა, დინიკის გველგესლა და მცენარე *Paracynoglossum imeretinum*. აქ ასევე წარმოდგენილია მარდი ხვლიკი (*Acerta Agilis*), რომელიც შეტანილია ბერნის კონვენციის II დანართში. ამას გარდა, პროექტის ტერიტორიაზე აღირიცხა საქართველოს მიერ რატიფიცირებული Eurobats-ის კონვენციით დაცული დამურების დაახლოებით ათი სახეობა.

**ზემოქმედების შეფასება:** პროექტის ფარგლებში შეფასდა თითოეულ ამ სახეობასთან დაკავშირებული რისკები, მათზე უარყოფითი ზემოქმედების აცილების, შემცირების ან კომპენსაციის მიზნით, რათა შენარჩუნებული იქნას მათი არსებული ბალანსი. ხმელეთის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებას ადგილი ექნება ძირითადად მშენებლობის

ფაზაზე, ხოლო წყლის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება უკავშირდება ჰესის ექსპლუატაციის ფაზას.

**შემარბილებელი ღონისძიებები:** შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებები მოიცავს ისეთ ზომებს, როგორცაა მაგალითად: კალენდარული შეზღუდვები (მოზუდარი ფრინველებისა და ღამურების სანაშენე თავშესაფრების შემთხვევაში), მდინარის კალაპოტის მართვა და მოვლა (თევზების შემთხვევაში), დაჭერა და სხვა ადგილას გადატანა (ქვეწარმავლების და ამფიბიების), ან ბრაკონიერობის საწინააღმდეგო ქმედებები და ცნობიერების ამაღლება (დათვისა და არჩვის შემთხვევაში). მინიმუმამდე შემცირდება საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ხის სახეობების ჭრა, ხოლო მოჭრილი ეგზემპლარების ჩანაცვლება მოხდება 1:10 თანაფარდობით, საქართველოში დაგროვილი საუკეთესო გამოცდილების შესაბამისად.

განხორციელებული შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობისათვის თვალყურის მიდევნების მიზნით დაინერგება თანამონაწილეობითი მონიტორინგი, რომელშიც ჩართულნი იქნებიან პროექტის არეალში წარმოდგენილი დაინტერესებული მხარეები.

## სოციალური ზემოქმედების სახეები

**დროებითი ინფრასტრუქტურა:** პროექტი მიწების გარკვეულ ნაწილს გამოიყენებს დროებით, კერძოდ სამშენებლო ბანაკებისა და შენობა-ნაგებობებისათვის, ასევე სასაწყობოდ. სამშენებლო ბანაკებისთვის შერჩეული იქნა სამი უბანი (იხ. ნახაზი 2).

**მიწის შესყიდვა და განსახლება:** პროექტი არ გამოიწვევს ფიზიკურ ადგილმონაცვლეობას ან არანებაცდლობით განსახლებას. მისთვის საჭირო მიწები იჯარით აიღება სახელმწიფოსგან, ან შეისყიდება/ იჯარით აიღება კერძო პირებისგან, მათთან ნებაცდლობით დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე (მართლზომიერ მესაკუთრეებს, რომელთაც მიწა რეგისტრირებული არ ჰქონდათ, შპს „ხელედულა ენერჯი“-მ მიწის რეგისტრაციაში დახმარება აღმოუჩინა). პროექტი ზემოქმედებას იქონიებს ისეთ საარსებო წყაროებზე, რომლებიც მიწასთან არაა დაკავშირებული. ეკონომიკური და ფიზიკური ადგილმონაცვლეობა თავიდან იქნა აცილებული.

**შემაწუხებელი ფაქტორები:** მშენებლობის პერიოდში მოსალოდნელი ძირითადი შემაწუხებელი ფაქტორებია: ხმაური, მტვერი და ტრანსპორტის მოძრაობა. ამ ფაქტორებთან დაკავშირებული უარყოფითი ზემოქმედების მართვის მიზნით ხმაურიანი სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ დადგენილ საათებში, ხოლო სამუშაო უბნები გარკვევით გამოიყოფა საზოგადოებრივი სარგებლობის ტერიტორიებიდან. სამშენებლო ტექნიკის მოძრაობა დარეგულირდება ტრანსპორტის მართვის გეგმის მეშვეობით.

**დასვენება და ტურიზმი:** მდ. ხელედულა გამოიყენება გარკვეული საქმიანობისათვის, რომელიც ზემოქმედების ქვეშ მოყვება მდინარის გადაადგილებული მონაკვეთის გასწვრივ. აღნიშნული ეხება სამოყვარულო თევზაობას და ჯომარდობას, რომელიც მდ. ხელედულაზე დროდადრო ეწყობა ტურისტებისათვის. პროექტიდან ზედა დინებაში შესაძლებელი იქნება ორთავე ამ საქმიანობის გაგრძელება. ამასთან, არ არსებობს ჩამოყალიბებული ბიზნეს-საქმიანობა, რომელიც აღნიშნულ აქტივობებზე იქნებოდა დამოკიდებული.



**საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება:** ჰესის მშენებლობა და ექსპლუატაცია ჯანმრთელობის მნიშვნელოვან რისკებს არ წარმოშობს. მშენებლობის დროს უსაფრთხოების რისკები ძირითადად ტრანსპორტის მოძრაობის მატების გამო გაიზარდება, ხოლო ექსპლუატაციის დროს - ჰესის ოპერირების შედეგად მდინარის ხარჯის სწრაფი ცვლილების გამო. ამ რისკის შემცირების მიზნით განხორციელდება გარკვეული საინჟინრო, საოპერაციო და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები.

**მუშახელის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება:** სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე თითოეულ მშენებელი კომპანია შპს „ხელედულა ენერჯი“-ს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მართვის გეგმას (HSEMP). HSEMP შემუშავებული იქნება: (i) IFC-ს „გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის ზოგად სახელმძღვანელო“ და (ii) EBRD/IFC-ს დოკუმენტის „სახელმძღვანელო მითითებები მუშახელის საცხოვრებელ შენობა-ნაგებობებთან დაკავშირებით“ გათვალისწინებით.

**კულტურული მემკვიდრეობა:** პროექტის ზემოქმედების არეალში წარმოდგენილი არაა ადგილობრივი, ეროვნული ან საერთაშორისო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები (მაგ., იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის უბნები). არსებობს შემთხვევითი აღმოჩენის შესაძლებლობა, რის გამოც შპს „ხელედულა ენერჯი“ შეიმუშავებს, დაამტკიცებს და განახორციელებს „შემთხვევითი აღმოჩენების პროცედურას“. პროექტის სამშენებლო სამუშაოების გამო შესაძლოა შეწუხდნენ გამოვლენილი კულტურული მემკვიდრეობის უბნების, კერძოდ კი დედათა მონასტრის ან ხელედის სასაფლაოს მომხმარებლები. ხელედის თემთან კონსულტაციის მეშვეობით ხმაურიანი სამუშაოები იმგვარად დაიგეგმება, რომ თავიდან იქნას აცილებული ზემოქმედება ამ რესურსების ადგილობრივ მოხმარებაზე.

## პროექტის მიერ მოტანილი სარგებელი

**დასაქმება:** მშენებლობაზე დასაქმებული 250-300 პირი დაქირავებული იქნება სამშენებლო სამუშაოების პიკში. მათი დაახლ. 70% სავარაუდოდ ადგილობრივი თემიდან იქნება აყვანილი, ხოლო თუ აქ მუშახელის რაოდენობა საკმარისი არ აღმოჩნდა, მაშინ ხალხს დაიქირავებენ ჯერ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სხვა დასახლებებიდან, შემდეგ კი მუნიციპალიტეტის მიმდებარე სოფლებიდან. მშენებლობის დასრულების შემდეგ ობიექტის ოპერირებისათვის საჭირო იქნება 20-25 პირი, რომელთა 90% ადგილობრივებიდან იქნება აყვანილი. ლენტეხის მუნიციპალიტეტში სწორედ პროექტი იქნება კერძო სექტორში ძირითადი დამსაქმებელი.

**მოსახლეობის მხარდაჭერა:** შპს „ხელედულა ენერჯი“-ს კორპორაციული სოციალურ პასუხისმგებლობის ფარგლებში, ადგილობრივ ეკონომიკაზე დადებითი ზემოქმედების მიზნით, პროექტისათვის მომზადდება და განხორციელდება „მოსახლეობის მხარდაჭერის გეგმა“, რაც ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებსა და თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობითა და შიდა დაინტერესებული მხარეების (დასაქმებულები/ მუშახელი) ჩართულობით მოხდება.

## საჯარო დოკუმენტაცია

მოცემული პროექტის საჯარო დოკუმენტაცია მოიცავს:

- გზშ-ის ანგარიშს, რომლის საფუძველზეც გაიცა ნებართვა,
- EBRD-ს გარემოსა და სოციალური დაცვის პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ შემდეგ დოკუმენტებს:
  - დამატებითი გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიშს
  - დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმას, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია განხორციელებული და დაგეგმილი კონსულტაციების შესახებ და მოცემულია გასაჩივრების მექანიზმი;
  - გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმას
  - წინამდებარე არატექნიკურ რეზიუმეს

აღნიშნული დოკუმენტების ჩამოტვირთვა შესაძლებელია შპს „ხელედულა ენერჯი“-სა და EBRD-ს ვებ-გვერდებიდან:

- <http://www.kheledulahpp.ge/>
- <https://www.ebrd.com/esia.html>

მათი გაცნობა ასევე შესაძლებელია შპს „ხელედულა ენერჯი“-ს თბილისის ოფისში, ან ლენტეხში:

შპს „ხელედულა ენერჯი“ საქართველო, თბილისი, 0162, ჭავჭავაძის გამზ. 37-დ	ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიაში, რომლის ფიზიკური მისამართია: საქათველო, ქ. ლენტეხი, თამარ მეფის ქ. #24.	სოფ. ხელედის ადმინისტრაციულ შენობაში (ლენტეხის მუნიციპალიტეტი).
--	---	---

## საკონტაქტო ინფორმაცია:

თუ პროექტის მიმართ ინტერესი გააჩნიათ და მის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება გსურთ, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შპს „ხელედულა ენერჯი“-ს საკონტაქტო პირს:

ელ-ფოსტა	<a href="mailto:info@kheledulahpp.ge">info@kheledulahpp.ge</a>
ტელეფონი	თბილისი: (+995) 577 04 50 29 ლენტეხი-ხელედი: (+995) 599 861 968
მისამართი	საქართველო, თბილისი, 0162, ჭავჭავაძის 37-დ